GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 12 Şubat/თებერვალი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 696.2	5.0 %	17.6 %	2.8 %

Türk Hammaddesi ile Gürcistan'da Üretilen Ürünler, AB'ye İhraç Edildiğinde Vergiden Muaf Olacak

თურქული ნედლეულით საქართველოში დამზადებული პროდუქცია ევროკავშირში ექსპორტისას გადასახადებისგან გათავისუფლდება

10 Şubat 2021 tarihinde Türkiye Cumhuriyeti ile Gürcistan arasındaki mevcut Serbest Ticaret Anlaşması'nda yapılmış değişikliği Türkiye Büyük Millet Meclisi tarafından onaylanmıştır. Alınmış kararının bir sonucu olarak Gürcistan'da Türk hammaddesi ile üretilen ürünler AB'ye ihraç edildiğinde vergiden muaf tutulacak.

Söz konusu bilgi Gürcistan Ankara Büyükelçiliği tarafından yayınlanmıştır. Büyükelçiliğe göre, alınan bu karar Türkiye'den Gürcistan'a yatırım akışının artmasına, ortak işletmelerin kurulmasına yardımcı olacaktır ve ayrıca AB'ye ihraç edilebilecek ürün çeşitliği artacaktır.

თურქეთის პარლამენტმა 2021 წლის 10 თებერვალს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში შეტანილი ცვლილების რატიფიკაცია მოახდინა. შედეგად საქართველოში დამზადებული პროდუქცია, რომლის წარმოებისთვისაც თურქული ნედლეული გამოიყენება, ევროკავშირში ექსპორტისას გადასახადებისგან გათავისუფლდება.

აღნიშნული ინფორმაცია თურქეთში საქართველოს საელჩომ გაავრცელა. საელჩოს აღნიშვნით აღნიშნული გადაწყვეტილება თურქეთიდან საქართველოში ინვესტიციების შემოსვლას შეუწყობს ხელს, წაახალისებს ერთობლივი კომპანიების ჩამოყალიბებას და გაზრდის იმ პროდუქციის ასორტიმენტს, რომელთა გატანაც ევროკავშირში იქნება შესაძლებელი.

Gürcü – Türk Diplomatik İlişkilerinin 100. Yıl Dönümü
ქართულ - თურქული დიპლომატიური ურთიერთობების 100 წლის იუბილე

Gürcü-Türk diplomatik ilişkilerinde 1921 yılın 8 Şubatı çok önemli bir tarihtir. Gürcistan Demokratik Cumhuriyeti Kurucu Meclis Başkan Vekili Simon Mdivani, Türkiye Büyük Millet Meclisi Reisi Mustafa Kemal Atatürk'e güven mektubunu tam 100 yıl önce sundu. Bu olay, TBMM Başkanı'na ilk güven mektubu sunan yabancı elçinin Gürcistan temsilcisi olması bakımından da çok büyük önem taşımaktadır.



1921 წლის 8 თებერვალი უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღია საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიაში. 100 წლის წინ სწორედ ამ დღეს გადასცა რწმუნებათა სიგელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ სიმონ მდივანმა, თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარეს მუსტაფა ქემალ ათათურქს. ეს მოვლენა იმითაცაა გამორჩეული, რომ სწორედ იგი იყო პირველი უცხოელი ელჩი, რომელმაც ანკარის მთავრობის მეთაურს რწმუნებათა სიგელები გადასცა.

Kovid aşısı Şubat sonunda Gürcistan'a varacak
კოვიდ-ვაქცინა საქართველოში თებერვლის ბოლოს შემოვა

Gürcistan Dışişleri Bakanı Sn. Davit Zalkaliani, Kovid aşısının Gürcistan'a girişine ilişkin gazetecilerin sorularını yanıtladı. Bakan, basın toplantısında aşı gelişinin kesin tarihi belirtmedi, ancak Pfizer aşısının ilk dozlarının Şubat ayı sonunda Gürcistan'a ulaşacağını kaydetti. Gürcistan COVAX platformu aracılığıyla 29 250 doz Pfizer aşısı alacaktır.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა კოვიდ-ვაქცინის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. მინისტრს პრეს

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

კონფერენციისას ვაქცინის შემოსვლის ზუსტი თარიღი არ დაუსახელებია, თუმცა განმარტა, რომ Pfizer-ის ვაქცინის პირველი დოზები საქართველოში თებერვლის ბოლოს შემოვა. ქვეყანა კოვაქს პლატფორმის საშუალებით „ფაიზერის“ ვაქცინის 29 250 დოზას მიიღებს.

"Gürcistan'da Üret" Ajansı Yeni Program Kapsamında Başvuruları Kabul Etmeye Başladı
სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ახალი პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება დაიწყო

Salgın durum nedeniyle Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığının "Gürcistan'da Üret" ajansı yeni programını başlattı. Ajans, restoran endüstrisini, spor tesislerini ve anaokullarını desteklemek için yeni finansman mekanizmasını yarattı.

Program koşulları ve kayıt hakkındaki detaylı bilgi aşağıdaki bağlantı linklerde bulabilirsiniz:

- Restoran endüstrisi - https://bit.ly/3aHOrb3
- Spor tesisleri - https://bit.ly/2N3a8ue
- Anaokulları -https://bit.ly/3tDMIft

პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ახალი პროგრამა წამოიწყო. სააგენტომ სარესტორნო ინდუსტრიის, სპორტული ობიექტების და საბავშვო ბაღების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსების ახალი მექანიზმი შექმნა.

პროგრამის პირობები და დეტალები რეგისტრაციის შესახებ ქვემოთ მოცემულ ბმულებზე შეგიძლიათ იხილოთ:

სარესტორნო ინდუსტრია - https://bit.ly/3aHOrb3

სპორტული ობიექტები - https://bit.ly/2N3a8ue

საბავშვო ბაღები - https://bit.ly/3tDMIft

2020 yılında Gürcistan Limanlarının Kargo Cirosu Azaldı
2020 წელს საქართველოს პორტების ტვირთბრუნვა შემცირდა

2020 yılında limanlar tarafından taşınmış toplam kargo hacmi, 2019 yılına göre %1.7 ile daha az 16.9 milyon ton olarak gerçekleştirmiştir. Bu düşüşün temel nedeni, ülkenin en büyük limanı olan Poti limanında kargo cirosundaki düşüş oldu.

Ekonomi Bakanlığı'na göre 2020 yılında Poti limanı hariç diğer tüm limanlardaki kargo hacmi artmıştır.

- Poti limanı: 7.4 milyon ton - %13.9 azalma;
- Supsa Deniz Terminal: 4,2 milyon ton - %13,5 büyüme;
- Batum Limanı: 3,5 milyon ton - %9,4 büyüme;
- Kulevi terminal: 1.7 milyon ton - %6.2 büyüme.

Limanlara sevk edilen konteyner sayısı 490 bin adet olmuştur, %24,2 azalma. Gürcistan Demiryolları ile taşınan toplam kargo miktarı 11.1 milyon ton olmuştur ve bu 2019 yılına göre 0.2 milyon ton - %1,8 ile daha fazladır. Demiryolu yük taşımacılığındaki artışa rağmen 2020'nin ilk 9 ayında demiryolu yine de büyük kayıplar yaşadı. Şirket, 363.5 milyon GEL gelir elde ederken, net zararı 118 milyon GEL oldu.

2020 წლის განმავლობაში საქართველოს პორტების მიერ ჯამურად გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 16.9 მილიონი ტონა შეადგინა, რაც 2019 წლის შედეგს 1.7%-ით ჩამოუვარდება. ამ შემცირების მთავარი მიზეზი ქვეყნის უმსხვილესი პორტის - ფოთის პორტის ტვირთბრუნვის კლებაა. ეკონომიკის სამინისტროს თანახმად, 2020 წელს ფოთის პორტთან შედარებით სხვა პორტებში გადაზიდვების მოცულობა გაიზარდა.

- ფოთის პორტი - 7.4 მლნ. ტონა, კლება 13.9%;
- სუფსის საზღვაო ტერმინალი - 4.2 მლნ. ტონა, ზრდა 13.5%;
- ბათუმის საზღვაო ნავსადგური - 3.5 მლნ ტონა, ზრდა 9.4%;
- ყულევის ტერმინალი - 1.7 მლნ ტონა, ზრდა 6.2%.

რაც შეეხება პორტებში გადაზიდული კონტეინერების რაოდენობას, ის 490 ათასს შეადგენს, რაც წლიურად 24.2%-ით არის შემცირებული. საქართველოს რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების ჯამური ოდენობა 11.1 მილიონ ტონას შეადგენს, რაც 2019 წელთან შედარებით 0.2 მილიონი ტონით, ანუ 1.8%-ით მეტია. სარკინიგზო ტვირთბრუნვის ზრდის მიუხედავად, 2020 წლის 9 თვეში რკინიგზამ მაინც დიდი ზარალი განიცადა. კომპანიამ მომსახურებიდან 363.5 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, მისი წმინდა ზარალი კი 118 მლნ ლარი იყო.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Gürcistan ve Kore arasında hava trafik anlaşması
საჰაერო მიმოსვლის შეთანხმება საქართველოსა და კორეას შორის

Gürcistan ve Kore Cumhuriyeti hava trafiği konusunda bir anlaşma imzaladı. Anlaşmaya göre, Gürcü havayolları Kore'nin en büyük uluslararası havalimanlarına düzenli seferler gerçekleştirebilecekken, Koreli havayolları Gürcistan havalimanlarına düzenli seferler düzenleyebilecek.

Ekonomi Bakanlığı'na göre, anlaşmanın imzalanması iki ülke arasında hava taşımacılığı alanında yasal bir çerçeve oluşturdu.

Pandemiden önce Kore Cumhuriyeti'nden Gürcistan'a turist sayısının keskin bir şekilde arttığını belirtmek önemlidir. 2019'da 16.642 ziyaretçi, 2018'e göre yüzde 25,3 ve 2017'ye göre yüzde 112,2 fazla olan Kore'den Gürcistan'a geldi. 2018-2019 yıllarında, “Korean Air” ile Gürcistan ile Kore Cumhuriyeti arasında çeşitli charter seferleri düzenlenmiş ve 1500'e kadar yolcu taşınmıştır.

საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ავიაკომპანიები კორეის უმსხვილეს საერთაშორისო აეროპორტებში, ხოლო კორეული ავიაკომპანიები საქართველოს აეროპორტებში რეგულარული ფრენების განხორციელებას შეძლებენ. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, შეთანხმების გაფორმებით, ორ ქვეყანას შორის საჰაერო ტრანსპორტის სფეროში სამართლებრივი ბაზა შეიქმნა.

მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის დაწყებამდე, საქართველოში კორეის რესპუბლიკიდან შემოსული ტურისტების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. 2019 წელს კორეიდან საქართველოში 16 642 ვიზიტორი შემოვიდა, რაც 2018 წელთან შედარებით 25.3 პროცენტით, ხოლო 2017 წელთან შედარებით 112.2 პროცენტით მეტია. 2018 – 2019 წლებში, საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის, ავიაკომპანია “Korean Air”-ის მიერ, რამდენიმე ჩარტერული რეისი შესრულდა და 1500 მდე მგზავრი იქნა გადაყვანილი.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაგებობარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının sayısının düşüş eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 3647'e ulaştı (ortalama: 521 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 264 665'e ulaştı. Can Kaybı – 3 336, iyileşenlerin sayısı – 256 684, aktif vaka ise – 4 645. Halihazırda hastanelerde 2045, otellerde ise 284 kişi tedavi görüyor, 304 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 2 406 994 test yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 108 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 108 354 333, Can Kaybı – 2 380 451, iyileşen kişi sayısı – 80 555 230. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve İngiltere'de görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობის კლების ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 3647-ს უტოლდება (521 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 264 665 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3 336, გამოჯანმრთელდა 256 684, ხოლო 4 645 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 2045 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 284 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 304 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 2 406 994 ტესტი გაკეთდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 108 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 108 354 333 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 2 380 451, ხოლო გამოჯანმრთელდა 80 555 230 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს ჰყავს. საკითხთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka დაავადებული	Can Kaybı გარდაცვლილი	İyileşme გამოჯანმრთელებული	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	28 002 240	486 922	17 930 819	9 584 499
Hindistan/ ინდოეთი	10 880 603	155 484	10 589 230	135 889
Brezilya / ბრაზილია	9 716 298	236 397	8 643 693	836 208
Rusya / რუსეთი	4 042 837	79 194	3 559 142	404 501
İngiltere / დიდი ბრიტანეთი	3 998 655	115 529	2 056 261	1 826 865
Fransa / საფრანგეთი	3 406 685	80 803	238 753	3 087 129
İspanya / ესპანეთი	3 041 454	64 217	N/A	N/A
İtalya / იტალია	2 683 403	92 729	2 185 655	405 019
Türkiye / თურქეთი	2 564 427	27 187	2 453 096	84 144
Almanya / გერმანია	2 321 215	64 513	2 101 000	155 702
Gürcistan / საქართველო	264 665	3 336	256 684	4 645
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	108 354 333	2 380 451	80 555 230	25 418 652

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.2950 TRY/GEL – 0.4671 EUR/GEL – 3.9965 GBP/GEL – 4.5553

USD/GEL

5 - 12 Şubat 2021

USD/TRY

5 - 12 Şubat 2021

TRY/GEL

5 - 12 Şubat 2021

ALTIN – 58 356.02 kg/us

5 - 12 Şubat 2021



AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası